ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

# ო ქ მ ი N48

**სხდომის ჩატარების დრო:**
**30 ივლისი, 2024 წელი**

**სხდომის ჩატარების ადგილი:**
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

**ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

მაია სიმონიძე, მაგდა კოსტავა, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, ჯემალ ბიბილეიშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე.

**სულ:** 8 წევრი.

**არ ესწრებოდნენ:** გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული, გიორგი კილაძე.

**სულ:** 6 წევრი.

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **ვალერიან სილაგაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მამუკა კუბლაშვილი.**

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2023 წლის იანვრიდან 2024 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ;

2.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის N22ა-ში) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

4.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

6.ქალაქ ქუთაისში, ჟ.შარტავას ქუჩის III შესახვევის N24-ისა და ზ.გამსახურდიას გამზირის N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

**დღის წესრიგის პირველი საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2023 წლის იანვრიდან 2024 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური საქმიანობას ძირითადად წარმართავდა სამსახურის დებულების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით, შინაგანაწესისა და ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების, შემუშავებული სტრატეგიული გეგმების და დონორი ორგანიზაციების მიერ მიმდინარე პროექტების ფარგლებში. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიმართულებით: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის №44.442319915 ბრძანებით შეიქმნა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ადგილობრივი საბჭო, დამტკიცდა საბჭოს დებულება, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახური ახორციელებს საბჭოს მუშაობის საერთო კოორდინაციას და სამდივნოს ფუნქციებს. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ექსპერტებთან ერთად შემუშავდა „მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტი 2030“, რომელიც მოწონებული იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 28 ივნისს N204 განკარგულებით. მომზადდა „მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტის“ მონიტორინგი და შესრულების ანგარიში, რომელიც 2024 წლის 27 თებერვალს წარედგინა, საქართველოს პრემიერ–მინისტრის 2020 წლის 23 იანვრის №14 ბრძანებით შექმნილ, მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ საბჭოს. სამსახური კოორდინაციას უწევს „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში (M4EG) ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტს, რომლის საფუძველზე შემუშავებულია „მუნიციპალიტეტის ტრანსფორმაციის პორტფელი - ქუთაისი ეკო სმარტ ქალაქი“. პროექტით მიღებული საგრანტო ტრანშის ფარგლებში შესრულდა: ნარჩენების სეპარირების (პლასტიკის, ქაღალდის და ლითონის საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხებული შეგროვებისათვის) ახალი თანამედროვე სმარტ ცენტრების მოწყობა ქალაქის 7 ლოკაციაზე (21 სმარტ ბუნკერი); ელექტრომობილებისათვის ელექტროდასამუხტი წერტილების ინსტალაცია ქალაქის 4 ლოკაციაზე, მომზადდა და საკრებულოს მიერ 2023 წელს

N78 დადგენილებით შემოღებული იქნა შეღავათი ქალაქის საზღვრებში ელექტრო ძრავიანი ავტომობილების უფასო დამუხტვისა და მუნიციპალური პარკირების მოსაკრებლისაგან განთავისუფლების თაობაზე; შეიქმნა „ეკო ინოვაციების აკადემია", რომელსაც კოორდინაციას უწევს პარტნიორი ორგანიზაცია მეცნიერთა კავშირი „სპექტრი". აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰაკატონის გუნდთან ერთად მოეწყო „იდეათონი", სადაც ახალგაზრდობამ წარმოადგინა მათი ინტელექტუალური ნაშრომები და სადემონსტრაციო დემო ვერსიები ეკო სმარტ კონცეფციის ჭრილში. გამარჯვებული იდეები დაჯილდოვებული იქნა ქალაქის მერიის სახელით; მიმდინარეობს 100კვტ. სიმძლავრის მზის პანელების ინსტალაცია შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" ტერიტორიაზე, რომლის მიხედვითაც კომპანია 100%-ით გადავა განახლებადი ენერგიის გამოყენებაზე. მონაწილეობა მივიღეთ სმარტ ქალაქების მსოფლიო კონგრესში SCEWC22, რომელიც გაიმართა ბარსელონაში, EU და UNDP -ის მიერ M4EG პროექტის ფარგლებში, საჯარო მოხელეთა სწავლებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. მონაწილეობა მივიღეთ სამუშაო შეხვედრაში, ქუთაისში სტუმრად მყოფ UNDP სტამბულის ინოვაციების ჰაბის და თბილისის ოფისის წარმომადგენლებთან, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" მეორე ფაზის ფარგლებში მიმდინარე პროექტის „ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტრანსფორმაციის პორტფელით" განსაზღვრული ინტერვენციების მიმდინარეობის თაობაზე. მონაწილეობა მივიღეთ სამუშაო შეხვედრაში ქუთაისში სტუმრად მყოფ UNDP წარმომადგენლობისა და M4EG რეგიონალური ქსელის მენეჯმენტთან. განხილული იქნა ტრანსფორმაციის პორტფელის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა მოლდოვას რესპუბლიკის ქალაქ ჩადირ ლუნგას ხელმძღვანელ პირებს, სტუმრები ადგილზე გაეცნო ქუთაისის კარგი პრაქტიკის მაგალითებს და გადადგმულ ნაბიჯებს ეკო სმარტ მიმართულებით, რომელიც განხორციელდა EU და UNDP პროგრამის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" (M4EG) პროექტის „მუნიციპალიტეტის ტრანსფორმაციის პორტფელის" ფარგლებში. მონაწილეობა მივიღეთ ბრიუსელში გამართულ აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორი ქვეყნების „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" M4EG ქსელის მუნიციპალიტეტების საერთაშორისო ფორუმში, მონაწილე მხარეებმა წარადგინეს პრეზენტაციები ქალაქების ტრანსფორმაციის ხედვებზე და ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე. ვმონაწილეობდით ქალაქ ბათუმში EU, UNDP, M4EG ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო ფორუმში „ქალაქების მზაობა მომავლისათვის", სადაც ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა პანელურ შეხვედრაზე წარადგინა პრეზენტაცია, „ქუთაისი-ეკო სმარტ ქალაქი" განხორციელებული აქტივობების და დაგეგმილი ინტერვენციების თაობაზე. EU და UNDP მიერ M4EG ფარგლებში გამოიცა ბროშურა ქუთაისში ეკო სმარტ ქალაქის პორტფელის ფარგლებში ტრანსფორმაციის განვლილ გზებზე, EU და UNDP-ის ორგანიზებით M4EG ფარგლებში ქუთაისში სასტუმრო „ქუთაისი ინნ" გაიმართა საერთაშორისო ურბანული ფორუმი ჰიბრიდულ რეჟიმში აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორი ქვეყნების მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირთა მონაწილეობით, „ქალაქების მზაობა მომავლისთვის" „Show & Tell. სამსახურის ჩართულობით ქუთაისის მუნიციპალიტეტი მონაწილეობდა ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) (NALAG)

მიერ გამოცხადებულ კონკურსში საუკეთესო მუნიციპალური პრაქტიკისა და ინიციატივების
გამოსავლენად. ქუთაისს ეკო სმარტ ინიციატივისთვის, რომელიც ტრანსფორმაციის
პორტფელის ფარგლებში ხორციელდება, საუკეთესო პრაქტიკის წოდება მიენიჭა. აქტიური
თანამშრომლობა გრძელდება ქუთაისის მუნიციპალიტეტის "კლიმატის ცვლილების
საადაპტაციო და სამიტიგაციო დოკუმენტი 2030" შემუშავებასთან დაკავშირებით, რომლის
ფორმირების პროცესს კოორდინაციას უწევს კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი
REC Caucasus. სამსახურის კოორდინაციით მომზადდა და შესაბამის ელექტრონულ ბაზებში
განსათავსებლად პროექტის კოორდინატორ ორგანიზაციას გადაეგზავნა მუნიციპალური
შენობების ინვენტარიზაციის, სამიტიგაციო და საადაპტაციო ღონისძიებების შესახებ
მოთხოვნილი ინფორმაცია. ქუთაისი შეუერთდა მსოფლიო ქალაქების გამოწვევას და აღნიშნა
ევროპის მდგრადი ენერგეტიკის კვირეული EUSEW, პარტნიორი იყო აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი".
წარმოდგენილი იყო განახლებად ენერგიაზე და ენერგოეფექტურ სისტემებზე სტუდენტების
ინოვაციები, ჩატარდა სესიები. ჩართული ვართ და ვმუშაობთ ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის N44-44241646 ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფში
„ქუთაისის ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის" შემუშავების მიზნით. სამსახური
აქტიურად არის ჩართული ყოველწლიური საერთაშორისო ფორუმების ორგანიზებაში.
ფორუმი აერთიანებს ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებს, პრაქტიკოსებს და
სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, საშუალო და მცირე დონის ქალაქების
ინტეგრირებული განვითარების თემების ირგვლივ. მსგავსი ფორუმები ჩატარდა 2019, 2021,
2023, 2024 წლებში. იმერეთის სავაჭრო სამრეწველო პალატასთან ერთად სისტემატურად
ხორციელდება ელექტრონული სახით ადგილობრივ მეწარმეთა ბიზნეს საკონსულტაციო
სერვისებით მომსახურება, ყოველწლიურ სახელმწიფო საგრანტო პროგრამებში მათი
აქტიური ჩართვის ხელშეწყობის მიზნით („აწარმოე საქართველოში", ინოვაციებისა და
ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტები და სხვა). გავრცელებულ იქნა ინფორმაციები
„ქალების ბიზნეს შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამაზე", „მიკრო და მცირე
მეწარმეობის ხელშეწყობაზე", „საწარმოებში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის
ხელშემწყობ პროგრამაზე", „ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესის ხელშემწყობ
პროგრამაზე", საწარმოთათვის ექსპორტის მენეჯერთა მომზადებაზე, პარტნიორ ქვეყნებში
საერთაშორისო ბიზნეს ფორუმებში მიწვევებზე და სხვა. პოლონეთის განვითარების
ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროს ორგანიზებულ ტრენინგებზე
გადამზადდა პროფესიული საჯარო მოხელეები და მიღებული ცოდნის გათვალისწინებით
მომზადდა „მუნიციპალიტეტის საინვესტიციო შესაძლებლობები და საინვესტიციო
პორტფოლიო". გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით იმერეთის მხარის
მეცნიერთა კავშირი „სპექტრთან" და მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეთა ჩართულობით
ქალაქის ცენტრალურ ბულვარში მოვაწყვეთ საინფორმაციო ეკო მეგობრული აქცია და
საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენეთ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენით გამოწვეული
კრიზისების თაობაზე. ადგილობრივ მეწარმეთა ხელშეწყობის, მათი ნამუშევრებისა და
წარმოებული პროდუქციის ცნობადობისა და გაყიდვების ზრდის ხელშეწყობისათვის

სადღესასწაულო დღეებში პერიოდულად ეწყობა გამოფენა-ბაზრობები, რაც ხელს უწყობს ადგილობრივ მეწარმეთა წარმოჩენას, ცნობადობის ზრდას, მოტივაციას და პოპულარიზაციას. იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრთან" თანამშრომლობით გაიმართა საერთაშორისო ვებინარი ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის ქალაქებში გამოყენების შესაძლებლობების შესახებ. მიგრაციის ცენტრის MIC ორგანიზებით ვმონაწილეობდით სამუშაო შეხვედრაში თემაზე „მიგრაციის მართვა ადგილობრივ დონეზე, იმიგრანტთა ინტეგრაცია და საჭიროებები მუნიციპალურ დონეზე", რომლის მიზანია შემუშავდეს უცხოელთა რეინტეგრაციის მუნიციპალური სტრატეგია. სამსახური აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის (EU) პროექტში „ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის". სამსახური აქტიურად არის ჩართული გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) პროექტში „დაბალ ემისიანი განვითარება ურბანული დაგეგმარების გზით", რომლის კოორდინაციას ახორციელებს კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC CAUCASUS). ვმონაწილეობთ EU და UNDP პროგრამის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" M4EG ფარგლებში მიმდინარე სამუშაო შეხვედრებში, რომლის მიზანია შემუშავდეს ახალი თაობის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა: "ეკონომიკური ზრდის გზები" P4EG. „ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო"-სთან ერთობლივად ყოველწლიურად მუშავდება მუნიციპალიტეტის ინდექსი სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. საერთაშორისო კომპანია „SYSTRA" ორგანიზებით მონაწილეობა მივიღეთ ქალაქ ზუგდიდში საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის სამუშაო შეხვედრაში, განხილული იქნა ურბანული ტრანსპორტის განვითარების შესაძლებლობები, სატრანსპორტო ქსელების ოპტიმიზაცია და საჯარო მომსახურების ხელშეკრულების პირობები. USAID და PMCG ორგანიზებით განხორციელდა პროექტი „კერძო სექტორის ჩართულობა ადგილობრივ დონეზე", იდენტიფიცირდა ინტერმუნიციპალური პროექტები და მოხდა პრიორიტეტიზაცია. USAID და PMCG საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის" მომზადებაზე, პირველ ფაზაში მოვახდინეთ სიტუაციური ანალიზი, არსებული პრობლემები და გამოწვევების იდენტიფიცირება, გამოიკვეთა ქალაქის პრიორიტეტული ბიზნეს სექტორები, შემუშავდა SWOT, განისაზღვრა სმარტ კრიტერიუმები და სერვისების გაციფრულების შესაძლებლობები. ქალაქის მერიასა და სამეცნიერო უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ყოველწლიურად ვახორციელებთ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების მიღებას სტაჟირებისა და პრაქტიკის კურსის პროგრამების და სილაბუსების მიხედვით; EU და UNDP ორგანიზებით "მერები ეკონომიკური ზრდისთის" M4EG ფარგლებში ვმონაწილეობდით ონლაინ საერთაშორისო სემინარში „სამომავლო მზაობის საფუძვლები - კლიმატის ცვლილება, მზარდი ურბანიზაცია, გლობალური პრობლემები, მიტიგაცია და ადაპტაცია". ევროკავშირის ინიციატივა „მერების შეთანხმება-აღმოსავლეთი COMEAST" ფარგლებში ონლაინ ვმონაწილეობდით საერთაშორისო კონფერენციაში თემაზე „ჰაერის ხარისხის კონტროლისა და მისი გაუმჯობესებისაკენ მიმართული საერთაშორისო პრაქტიკა". კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC CAUCASUS) ორგანიზებით გაიმართა ონლაინ სამუშაო შეხვედრა თემაზე „ინტეგრირებული გამჭვირვალობის ჩარჩო, კლიმატის

ცვლილება, მონაცემთა მართვის სისტემა". UNDP, M4EG, ARUP ორგანიზებით ვმონაწილეობდით საერთაშორისო ვებინარში გენდერულად ინკლუზიური ქალაქები, გამოწვევები და მათი გადაჭრის ინსტრუმენტები. UNDP, M4EG ორგანიზებით ვმონაწილეობდით საერთაშორისო სემინარში ტრანსფორმაციული ინიციატივა- ურბანული ტრანსფორმაციის გავლენა ადამიანის მობილობაზე. USAID და PMCG ორგანიზებით ვმონაწილეობდით სამუშაო შეხვედრაში „კერძო სექტორის ჩართულობის წახალისება მუნიციპალიტეტებში". UNDP, M4EG ურბანული სასწავლო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა „მწვანე გარდაქმნის სექტორები - ინდუსტრიიდან ციფრულ და მწვანე ტრანსფორმაციისაკენ". ჩართული ვართ EU და UNDP ურბანული სწავლების ცენტრის პროექტში „მწვანე და სამართლიანი გარდაქმნა", საერთაშორისო ექსპერტები განიხილავენ კარგი პრაქტიკის მაგალითებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შერბილების, კლიმატნეიტრალური მდგრადობის, ნულოვანი ნარჩენების, ცირკულარული ეკონომიკის, ციფრული ეკონომიკის იმპლემენტაციების ინსტრუმენტებზე. DEMOS HELSINKI-თან გაიმართა ონლაინ სამუშაო შეხვედრა „მწვანე სოციალური ნორმა - ახალი მიდგომები და ინსტრუმენტები". USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში საჯარო მოხელეები გადამზადდა მონაცემთა მართვის საკითხებში, მუნიციპალიტეტის მონაცემებზე ორიენტირებული სტრატეგიული და მიმდინარე ამოცანების უკეთ წარმართვისათვის. მომზადდა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2024 წელს მიიღო დადგენილება N100 „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთის განსაზღვრის შესახებ". ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საგზაო მოძრაობის რეგულირების მიმართულებით: ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ფუნქციონირებს რეგულარული სამგზავრო გადაყვანის $M_3$ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 14 მარშრუტი, ყოველდღიურად მუშაობს მუნიციპალური 54 ავტობუსი, ხოლო რეზერვი შეადგენს 6 ავტობუსს (სულ 60 ავტობუსი), $M_2$ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 9 მარშრუტზე ყოველდღიურად მუშაობს მუნიციპალური 9 მიკროავტობუსი, რეზერვი შეადგენს 1 მიკროავტობუსი (სულ 10 მიკროავტობუსი). ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით №44.442219317, 12.07.2022 წ. სანებართვო საქმიანობის უფლება $M_3$ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 13 მარშრუტზე და $M_2$ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 9 მარშრუტზე მინიჭებული აქვს მუნიციპალურ ავტოსატრანსპორტო საწარმოს შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია"- ს. დანარჩენ $M_2$ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოქმედ 24 მარშრუტზე ყოველდღიურად მუშაობს 105 ერთეული მიკროავტობუსი. ამ მარშრუტებზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერსა და კერძო გადამზიდავი კომპანიების ხელმძღვანელებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე სანებართვო საქმიანობას ახორციელებს 14 გადამზიდავი. საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები: მომზადებული იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N37 დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების

პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის (სასწავლო სვლის) გზების სიის დამტკიცების შესახებ"; მომზადდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N38 დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით უბილეთო მგზავრობისათვის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ"; ნებართვის გაცემის ფასის დავალიანების გამო ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" მომართვისა და კერძო გადამზიდავი კომპანიების პირადი განცხადების საფუძველზე M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების რამდენიმე მარშრუტზე (N: 3, 6, 7, 9, 10, 18, 19, 15, 26, 35, 38, 39, 44, 48, 50, 55) სანებართვო საქმიანობის უფლების გაუქმების თაობაზე მომზადდა და გამოიცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებები. ნებართვის გაცემის ფასის დავალიანების გადახდისათვის განსახორციელებელი შემდგომი ადმინისტრაციული ღონისძიებების გასატარებლად საჭირო დოკუმენტაცია გადაეგზავნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ განყოფილებას; მოქალაქეთა თხოვნის გათვალისწინებით, M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების რამდენიმე მარშრუტზე სანებართვო საქმიანობის უფლების მქონე კერძო კომპანიებთან ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ, გატარდა ღონისძიებები ამ მარშრუტების ფუნქციონირების აღდგენის მიმართულებით და გაფორმდა ხელშეკრულებები N: 35, 38, 55 მარშრუტებზე, ახალ კერძო გადამზიდავებთან, ხოლო დანარჩენ 9 მარშრუტზე მოხდა მუნიციპალური მიკრო ავტობუსებით ჩანაცვლება. ამჟამად მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოება N48 მარშრუტის აღდგენის შესაძლებლობის თაობაზე; ავტოქარხნის მარჯვენა დასახლების მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე N126 მუნიციპალური მიკროავტობუსების მარშრუტს შეეცვალა სვლაგეზი; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სამსახურს გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტის წევრის, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარის ქალბატონ ნინო წილოსანის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ქალაქ ქუთაისში საქალაქო ტრანსპორტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; მამუკა ასლანიკაშვილის ქუჩის მცხოვრებლების რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მოხდა N114 მუნიციპალური მიკროავტობუსების სვლაგეზის დაგრძელება; წყაროს ქუჩის მცხოვრებლების რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მოხდა N112 მუნიციპალური მიკროავტობუსების სვლაგეზის დაგრძელება; საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის ქალბატონ მაია ბითაძის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შესახებ მომზადდა და გადაგზავნილი იქნა პროექტი ქალაქ ქუთაისში ტრანსპორტის სფეროში დეკარბონიზაციის შესახებ არსებული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის ღონისძიებების პროექტის შესახებ; მომზადდა და გადაიგზავნა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის უფროსის ქალბატონ სოფიო რუსეცკის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი/მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირების პრობლემებისა და მისი

განვითარების საკითხებთან დაკავშირებით; მომზადებული იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N49 დადგენილების პროექტი, რითაც დაზუსტდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე ნებართვის გაცემის ფასების ოდენობები; მომზადდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N58 დადგენილების პროექტი, რითაც დაზუსტდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფის ცვლილების თაობაზე; დაზუსტდა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დამტკიცდა საქალაქო ტრანსპორტის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მუნიციპალური მარშრუტების სატრანსპორტო სქემები; დაზუსტდა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით დამტკიცდა საქალაქო ტრანსპორტის M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მუნიციპალური მარშრუტების სატრანსპორტო სქემები; სახელშეკრულებო პირობების დაზუსტების შემდეგ, 13 კერძო გადამზიდავს M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე დროებით (კონკურსის გამოცხადებამდე) მიენიჭა სანებართვო საქმიანობის უფლება და 2023 წლის 1 მაისს მათთან გაფორმდა ახალი დროებითი ხელშეკრულებები, რომელთა მიერ სრულად იქნა გადახდილი ნებართვის გაცემის ფასის დავალიანებები; საქალაქო ტრანსპორტის მუნიციპალური M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 13 მარშრუტისათვის და M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების 9 მარშრუტისათვის დაზუსტებული იქნა ავტობუსების მოძრაობის გრაფიკები; მომზადებული და გამოცემული იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №44.442404447, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სანებართვო საქმიანობის უფლების მინიჭების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 ივლისის №44.442219317 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, კერძოდ: დანართი N1-ს „ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ფუნქციონირებს რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტების სქემები" დაემატა ახალი მარშრუტი N47, რომელიც უზრუნველყოფს N24, N32, N34 და N37 საჯარო სკოლების რეგულარულ სამგზავრო კავშირს ერთი სვლაგეზის პირობებში; დამუშავებული იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო მარშრუტებზე მგზავრთნაკადის კვლევის მეთოდოლოგია; დამუშავებული იქნა ზვიად გამსახურდიას გამზირი - სვიმონ გუგუნავას ქუჩა - ილია ჭავჭავაძის გამზირი - ახალგაზრდობის გამზირის მიმართულებით არა გაბარიტული და მძიმეწონიანი ტვირთების გადაზიდვის სქემა და უსაფრთხო გადაზიდვის პირობები; მომზადებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ახალი პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრისა და ნებართვის

გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ"; საერთაშორისო კომპანია SYSTRA-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ახალი პროექტი „ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის $M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტების სქემების დამტკიცების შესახებ"; დაზუსტებულია ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტების ავტობუსების გაჩერებების პუნქტების დისლოკაციის ადგილების მისამართები და დამატებული იქნა 20-მდე ავტობუსის გაჩერება, რის შესახებ მომზადებული იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ახალი პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე $M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაჩერებების პუნქტების დამტკიცების თაობაზე"; ავტომშენებლის გამზირისა და ხარებავას ქუჩის გადაკვეთასთან გახშირებული ავტოსატრანსპორტო შემთხვევების აღმოსაფხვრელად დამუშავებული იქნა საგზაო მოძრაობის რეგულირების სქემა; 26 მაისისა და ბურჯანაძის ქუჩების გადაკვეთასთან სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების საგზაო მოძრაობის გამიჯვნა ბურჯანაძის ქუჩის გამტარუნარიანობის გათვალისწინებით. საავარიო სიტუაციების ანალიზის საფუძველზე გამოკვლეული იქნა ქალაქ ქუთაისის რიგ მაგისტრალურ ქუჩებზე (ილია ჭავჭავაძის გამზირი, ავტომშენებლის გამზირი, დავით აღმაშენებლის გამზირი და შოთა რუსთაველის გამზირი) საგზაო მოძრაობის საკონფლიქტო წერტილები, რომელთა ავტოტრანსპორტისაგან განტვირთვის მიზნით მიმდინარეობს უსაფრთხო საგზაო რეგულირების სქემების დამუშავების პროექტებზე მუშაობა; მომზადდა ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N84 და N73 დადგენილებების პროექტები ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების" თანამშრომლებისა და ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისათვის $M_3$ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე უფასო მგზავრობის უფლების მინიჭების თაობაზე. სამსახურის ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილება ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში მოქცეული უძრავი ქონებების (არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, შენობა–ნაგებობები და ა.შ.) აღრიცხვას, რეგისტრაციასა და განკარგვას. საანგარიშო პერიოდში ქონების რეგისტრაციის და განკარგვის განყოფილებაში შემოსულია 3000-მდე კორესპონდენცია, რომლებზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება, ნაწილზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს 2023-24 საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოსაგან საკუთრებაში გადმოეცა 12 ერთეული უძრავი ქონება (მათ შორის, 2 (ორი) ერთეული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით) მიწის მთლიანი ფართი შეადგენს 8 (რვა) ჰექტარს. ასევე, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსაგან მიღებული თანხმობით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირდა 17 ერთეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართობი: 15063 კვ.მ.); მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ქონების რეგისტრაციის, რეგისტრირებული მონაცემების დაზუსტების, უძრავი ქონების გაყოფა–გაერთიანებისათვის 2023 წლის პერიოდში მომზადდა

86 სამართლებრივი აქტის პროექტი, ხოლო 2024 წლის პირველ-მეორე კვარტალში - 26 სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელთა საფუძველზე გამოცემული 112 ერთეული სამართლებრივი აქტის შესაბამისად, დარეგისტრირდა სკვერი 14 ერთეული; გზის ნაწილი 17 ერთეული; ტროტუარი 87 ერთეული; ავტოსადგომი 46 ერთეული; გზის ელემენტი 6 ერთეული; დაზუსტდა 30 ერთეული რეგისტრირებული მონაცემი, გაყოფა-გაერთიანება განხორციელდა 26 საკადასტრო ერთეულზე. საქართველოს ფინანსისტთა ასოციაციის მიერ, დღეის მდგომარეობით, მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია ქონების მართვის ელექტრონულ პროგრამაში eproperty.ge აღრიცხვის მიზნით. 2023 წლის საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა 30 ელექტრონული აუქციონი, გასხვისდა 25 ერთეული უძრავი ქონება (მათ შორის: 23 ერთეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 2 ერთეული მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობით), აგრეთვე, ყოფილი საკონსერვო ქარხნის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობები დემონტაჟის შემდგომ, განხორციელდა მიწის ნაკვეთის დაყოფა რამდენიმე საკადასტრო ერთეულად და გამოცხადდა 4 ელექტრონული აუქციონი (პირობებით) ერთ ლოტად გაერთიანებულ მიწის ნაკვეთებზე. აუქციონი შედგა, გამარჯვებული პირის მიერ ბიუჯეტში განსაზღვრულ ვადაში გადახდილი იქნა პირობით გათვალისწინებული თანხები. 2023 წლის პერიოდში თვითმმართველის ქონების გასხვისებიდან ბიუჯეტში მობილიზებულია 8 142 910.00 (რვამილიონ ასორმოცდაორიათას ცხრაასათი) ლარი. 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გამოცხადდა 14 ელექტრონული აუქციონი, გასხვისდა 13 ერთეული უძრავი ქონება (მათ შორის: 10 ერთეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 3 ერთეული მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა–ნაგებობით). აღნიშნულ პერიოდში თვითმმართველის ქონების გასხვისებიდან ბიუჯეტში მობილიზებულია 3 216 325.00 (სამი მილიონ ორასთექვსმეტიათას სამასოცდახუთი) ლარი. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გასხვისებით ადგილობრივ ბიუჯეტში 2023 წლის საანგარიშო პერიოდში ჩაირიცხა 2 570 385.00 (ორი მილიონ ხუთასსამოცდაათიათას სამასოთხმოცდახუთი) ლარი, ხოლო 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში - 3 120 364.00 (სამი მილიონ ასოციათას სამასსამოცდაოთხი ლარი). აღსანიშნავია, რომ უძრავი ქონების გასხვისებიდან ბიუჯეტში დაგეგმილ შემოსავალს, საანგარიშო პერიოდში გადააჭარბა ფაქტობრივად შემოსული თანხების რაოდენობამ. 2023 წელს 1 (ერთი) მილიონი ლარით, გათვალისწინებულია 2024 წლის გეგმა გაიზარდოს 2,5 მილიონი ლარით. ასევე, აღსანიშნავია, რომ უძრავი ქონებების (როგორც არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწების, ასევე, შენობა–ნაგებობების) შეფასება და განკარგვა ხდება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე. 2023-24 წლის საანგარიშო პერიოდში ელექტრონული აუქციონის ფორმით მოხდა გარე რეკლამის განთავსების ნებართვების გაცემა, რაც ასევე, დამატებით შემოსავალის წყარო იქნება ბიუჯეტში. 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის ბოლომდე მომზადდა 67 განკარგულების პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გაცემის თაობაზე. მათ შორის:

1. ერთი განკარგულების პროექტი უძრავი ქონების უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გაცემის შესახებ;
2. ოთხი განკარგულების პროექტი მოძრავი ქონების უსასყიდლო თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ;
3. შვიდი განკარგულების პროექტი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ;
4. ერთი განკარგულების პროექტი სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით, უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ;
5. ჩვიდმეტი განკარგულების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, სარგებლობაში გაცემის თაობაზე;
6. ექვსი განკარგულების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში გაცემასთან დაკავშირებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის თაობაზე;
7. ორი განკარგულების პროექტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის, პირობებით, საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.
8. ერთი განკარგულების პროექტი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე თანხმობის შესახებ;
9. ერთი განკარგულების პროექტით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგაროება ,,საფეხბურთო კლუბი ქუთაისის მართვეს" ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისების თაობაზე.
10. ორი განკარგულების პროექტი გარე რეკლამის განთავსების შესახებ;
11. ერთი განკარგულების პროექტით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობის შეცვლის თაობაზე.
10. ოცდაოთხი განკარგულების პროექტი საპრივატიზაციო ობიექტების გეგმასა და ნუსხაში ცვლილების შეტანის თაობაზე. 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში მომზადდა 26 განკარგულების პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გაცემის თაობაზე. 2023 წლის იანვრიდან 2023 წლის ბოლომდე ქონების განკარგვასთან დაკავშირებით გაფორმებულ იქნა 40 ხელშეკრულება. 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში ქონების განკარგვასთან დაკავშირებით გაფორმებულ იქნა 12 ხელშეკრულება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, 2022 წლის პირველი ივნისიდან ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის განყოფილებას დაემატა „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის

წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილების შესაბამისად განსაკარგი ფართების პრივატიზაციის საკითხი. 2023 წლის პერიოდში გაიცა 80 (ოთხმოცი) ერთეული საკუთრების მოწმობა, ხოლო 2024 წლის პირველ-მეორე კვარტალში გაცემულია 21 (ოცდაერთი) ერთეული საკუთრების მოწმობა. დაგეგმილია საბინაო სამმართველოს კუთვნილი, არაპრივატიზებული ფართების პირველადი რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და განკარგვა, რაც დამატებით შემოსავალს შემოიტანს ბიუჯეტში. 2023-24 წლის საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებთან დაკავშირებით, ასევე, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს უმოქმედო საწარმოების ამუშავების კუთხით. ჩატარებულ იქნა პარტნიორთა 7 კრება. მუნიციპალური ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით". შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ, კონკრეტულ სფეროში უფლებამოსილებათა უკეთ განხორციელების მიზნით, შექმნილ იურიდიულ პირს, რომელსაც ფუნქციათა განხორციელებისათვის გააჩნია შესაბამისი ქონება და რესურსი. იურიდიული პირების ქონების უკეთ მართვისა და განკარგვის მიზნით, შემუშავდა წესი და წარდგენილი იქნა საკრებულოს წინაშე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცდა დოკუმენტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისების, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშისწორების წესის დამტკიცების შესახებ". წინამდებარე წესი განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისების, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებს. „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, სამსახურის მიერ მომზადდა პროექტი და წარედგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების, საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 თებერვლის №60 დადგენილებით. ასევე „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784

ბრძანებულების შესაბამისად, სამსახურის მიერ მომზადდა პროექტი და წარედგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების, საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის №91 დადგენილებით. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №261 დადგენილების შესაბამისად, 2023 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ მომზადდა 21 სამართლებრივი აქტი და დადგინდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთის საზღვარი 30 244.24 კვ.მ.–ზე. ასევე, 2024 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ მომზადდა 6 სამართლებრივი აქტი და დადგინდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთის საზღვარი 10 021.00 კვ.მ.–ზე. მიმდინარე ეტაპზეც წარმოებაშია განცხადებები მიწის ნაკვეთის საზღვის დადგენის თაობაზე. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში 2023 წლის იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით სულ შემოსულია 170 განცხადება/მომართვა. დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 67 ერთეულზე, გაცემულ იქნა საკუთრების უფლების დამადასტურებელი 63 მოწმობა, 53-მა ერთეულმა ვერ დააკმაყოფილა კანონმდებლობის მოთხოვნები, ასევე, კომისიაში შემოსულ განცხადება/მომართვებზე კომპეტენციის ფარგლებში გაცემულ იქნა წერილობითი პასუხი. ნაწილზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 49 515.31 ლარი. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში 2024 წლის პირველ-მეორე კვარტალში სულ შემოსულია 119 განცხადება/მომართვა. დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 25 ერთეულზე, გაცემულ იქნა საკუთრების უფლების დამადასტურებელი 22 მოწმობა, 25-მა ერთეულმა ვერ დააკმაყოფილა კანონმდებლობის მოთხოვნები, ასევე, კომისიაში შემოსულ განცხადება/მომართვებზე კომპეტენციის ფარგლებში გაცემულ იქნა წერილობითი პასუხი. ნაწილზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 25 567.65 ლარი. საანგარიშო პერიოდში გარკვეული ყურადღება მიექცა სამსახურის პროფესიული საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას ტრენინგების საშუალებით საქართველოს ფინანსისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებულ ტრენინგებზე, ქონების მართვის საკითხებში."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გრიგოლ შუშანია, დავით

ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ანგარიში 2023 წლის იანვრიდან 2024 წლის ივნისის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ“

**მუხლი 2.** დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „აღნიშნული ცვლილებით, დანართში წარმოდგენილია ობიექტი, კერძოდ, თაბუკაშვილის ქუჩა N124-ში არსებული 207,43 კვადრატული მეტრის ფართობის შენობა-ნაგებობა, რომელიც ჩასმულია ნუსხაში და ახლა ვსვამთ გეგმაში, რათა მოხდეს შემდგომში მისი პრივატიზება.“

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის

დამტკიცების შესახებ"ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის N22ა-ში) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „აღნიშნული ტერიტორია არის აუდიტის სამსახურის უკანა მხარეს არსებული ტერიტორია, რომელიც უნდა გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში, რათა შემდეგ სახელმწიფომ თავის მხრივ გადასცეს უსაფრთხოების სამსახურს."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის N22ა-ში) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ვალერიან სილაგაძემ.

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა ვ.სილაგაძემ აქვე განმარტა: „მოგახსენებთ აღნიშნული ფართი მდებარეობს მერიის გვერდით შენობაში, სადაც განთავსებული იყო სამხედრო სამსახური, ვინაიდან რეორგანიზაციის შედეგად აღნიშნული სამსახური გადაეცა სახელმწიფოს, ეს ადგილიც უნდა გადაეცეს სახელმწიფოს უზუფრუქტის ფორმით, 6 თვის ვადით, შემდეგ სავარაუდოდ შეიცვლიან ადგილს."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოსათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით) ოჯარის

ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 25 იანვრის 164 განკარგულებით შპს „იბერკომპანს" გადაეცა ბენზინგასამართი სადგურის წინ არსებული ფასმაჩვენებელი, ახლა, რადგან შპს „იბერკომპანი" ჩაანაცვლა შპს „ლემონდომ", აღნიშნულ განკარგულებაში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება, რომ სამართალმემკვიდრეზე გადავიდეს იჯარის ხელშეკრულების პირობები სრულიად უცვლელად."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, ბენზინგასამართი სადგურებისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N164 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- „ქალაქ ქუთაისში, ჟ.შარტავას ქუჩის III შესახვევის N24-ისა და ზ.გამსახურდიას გამზირის N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების

**დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.კუბლაშვილმა** აქვე განმარტა: „ეს ტერიტორია არის კიკვიძის ძეგლის უკან ე.წ. წიგნის ბინებს ეძახიან, ამ ბინების უკან გაერთიანდა ორი მიწის ნაკვეთი საერთო ჯამში დაახლოებით 2000 კვადრატულ მეტრამდეა ფართობი, გდგ კეთდება იმიტომ, რომ თავიდან წამოვიდნენ, როგორც ცენტრის ზონის კოეფიციენტი უნდოდათ, მაგრამ ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია გენ გეგმის კონცეფციის სარეკომენდაციო წერილის მიხედვით მოიაზრება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონად, მიიღეს მაღალი ინტენსივობის ზონის კოეფიციენტები და სარგებლობენ კოდექსით დადგენილი ნორმით, ამიტომ K2-ის მომატება ხდება მხოლოდ გდგ-ს მეშვეობით."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „როგორც მივხვდი მოთხოვნა შემოსულია კოეფიციენტის ყიდვასთან დაკავშირებით, მაგრამ წინა შემთხვევების დროს, როცა გვქონდა ანალოგიური საკითხები, ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა ვიზუალური მხარეც, კიდევ დავამატებ ერთ შეკითხვას, მართალია პროექტირების ეტაპზე უნდა იყოს თანხმობა მიწის მესაკუთრეებისო, აქ ჩვენ გვაქვს ერთი მიწის ნაკვეთი, ვისი მეპატრონის თანხმობაც გვინდა მშენებლობის დაწყებამდე, რაც ჩვენ არ გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ეტაპია დავუშვათ გავიარეთ პირველი ეტაპი, შემდეგ მეორე  და როცა მივალთ პროექტის შეთანხმების ეტაპზე, მაშინ რომ განაცხადოს უარი რას ვშვებით?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „პირველი ეტაპის შემდეგ, მეორე ეტაპზე მისი თანხმობა გვჭირდება აუცილებლად."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „მესმის, მაგრამ ასე გამოდის ახლა იწყებს მუშაობას მიწის ნაკვეთზე, რომლის მეპატრონის თანხმობა არ გვაქვს. ამიტომ ჩემი აზრით დროც გვაქვს და საშუალებაც, რომ ჯერ ამ მეპატრონის თანხმობა გვქონდეს და შემდეგ დავიწყოთ აქტიური მოქმედებები."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

კომისიის წევრთა საერთო გადაწყვეტილებით საკითხი გადაიდოს სამომავლო განხილვისათვის დოკუმენტაციის სრულად მოწოდების მიზნით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის

თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გრიგოლ შუშანია, დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, კობა გურული, გიორგი კილაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

**მუხლი 1.** განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში, ჟ.შარტავას ქუჩის III შესახვევის N24-ისა და ზ.გამსახურდიას გამზირის N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" გადაიდოს სამომავლო განხილვისათვის, დამატებითი დოკუმენტაციის მოწოდების მიზნით.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი